

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №__

ქ. თბილისი

__ თებერვალი, 2021 წ.

სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროცესში შექმნილი პროდუქციის/გაწეული ანაზღაურებადი მომსახურების ღირებულების განსაზღვრის, აღნიშნული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის განკარგვის წესისა და პირობების შესახებ

მუხლი 1. „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად დამტკიცდეს თანდართული „სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროცესში შექმნილი პროდუქციის/გაწეული ანაზღაურებადი მომსახურების ღირებულების განსაზღვრის, აღნიშნული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის განკარგვის წესი და პირობები“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი გახარია

**სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული საგანმანათლებლო
დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროცესში შექმნილი პროდუქციის/გაწეული
ანაზღაურებადი მომსახურების ღირებულების განსაზღვრის, აღნიშნული საქმიანობიდან
მიღებული შემოსავლის განკარგვის წესი და პირობები**

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. პროფესიული განათლების სპეციფიკიდან გამომდინარე პროფესიული პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებებში (შემდგომში - საგანმანათლებლო დაწესებულება) ყოველწლიურად იქმნება გარკვეული რაოდენობის პროდუქცია სასწავლო პროცესში, ასევე შესაძლებლობა ექმნებათ განახორციელონ გარკვეული სახის მომსახურება ან/და აწარმოონ სხვადასხვა სახის პროდუქცია, მოახდინონ მათი რეალიზაცია და მიიღონ შემოსავალი ეკონომიკური საქმიანობიდან. აღნიშნული ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო დაწესებულებების ფინანსურ მდგრადობას, ფუნქციონირების გაუმჯობესებას, სასწავლო პროცესის განვითარებას, სასწავლო პროცესის დასაფინანსებლად დამატებითი სახსრების მოპოვებას, ეკონომიკური საქმიანობასთან დაკავშირებული საქმიანობის/პროცესების განვითარებასა და შექმნილი პროდუქციის/გაწეული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას.

2. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროცესში შექმნილი პროდუქციის რეალიზაცია ან/და ანაზღაურებადი მომსახურების გაწევა წარმოადგენს საგანმანათლებლო დაწესებულების ეკონომიკურ საქმიანობას და აღნიშნული საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი ხელს უნდა უწყობდეს საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნების შესრულებას სხვადასხვა მიმართულებით, როგორც შეიძლება იყოს:

ა) დამატებითი შემოსავლების ხარჯზე სახელმწიფო დაფინანსების საჭიროების შემცირება;

ბ) საგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციონირების, ეკონომიკური და საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარება, ინფრასტრუქტურისა და მატერიალური-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;

გ) ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში კერძო სამეწარმეო უნარებისა და კულტურის განვითარების ხელშეწყობა;

დ) სასწავლო პროცესში ეკონომიკური საქმიანობის ინტეგრირებით პროფესიულ სტუდენტთა მომზადების ზრდის ხელშეწყობა;

ე) ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართული სამუშაო ძალის (პროფესიული სტუდენტების სახით) სამუშაო ბაზარზე ირიბად შესვლის შესაძლებლობის ხელშეწყობა კურსის/პროგრამის სრულ დამთავრებამდე;

ვ) საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობების ჩამოყალიბება და განვითარება;

ზ) სამეწარმეო და შრომითი უნარ-ჩვევების განვითარებით კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და თვითდასაქმების რეალური ზრდის ხელშეწყობა;

თ) საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პროფესიული სტუდენტების მონაწილეობის უზრუნველყოფა მეწარმეობის განვითარებაში;

ი) შრომის ბაზარზე პროფესიული სტუდენტების მიმართ სანდოობის გაზრდა, რაც ხელს შეუწყობს პროფესიული სტუდენტების კონკურენტუნარიანობის და მოტივაციის ამაღლებას;

კ) საგანმანათლებლო დაწესებულებისა და პროფესიული სტუდენტების ურთიერთობის გამყარება პარტნიორ-ორგანიზაციებთან და დამსაქმებლებთან, მათ შორის კლიენტებთან;

ლ) საგანმანათლებლო დაწესებულების ცნობადობის, ინტერესისა და იმიჯის ამაღლება, კონტიგენტის მოზიდვა და სხვა მიზნების შესრულება.

მუხლი 2. რეგულირების მიზანი

წინამდებარე წესებისა და პირობების (შემდგომში - წესი) მიზანია უზრუნველყოს საგანმანათლებლო დაწესებულებების ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში სრული დანახარჯების გათვალისწინება, რესურსების განაწილების, აღრიცხვისა და ანგარიშგების არხებისა და ფორმების განსაზღვრა, მომგებიანობის გაზრდა და მიღებული შემოსავლების ეფექტური განაწილება საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნების მიღწევის ხელშესაწყობად.

მუხლი 3. წესის გავრცელების სფერო

1. სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროცესში შექმნილი პროდუქციის/გაწეული ანაზღაურებადი მომსახურების ღირებულების განსაზღვრის, აღნიშნული საქმიანობიდან

მიღებული შემოსავლის განკარგვის წესი და პირობები ვრცელდება სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებულ ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებაზე, რომელიც განახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის შესაბამისად.

2. წინამდებარე წესის მე-9 მუხლის მე-3-მე-6 პუნქტების, მე-11 მუხლისა და მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება ისეთი პროდუქციის რეალიზაციის ან/და ანაზღაურებადი მომსახურების გაწევის შემთხვევაზე, რომელიც ხორციელდება საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში არაორგანიზებულად (არაფორმალიზებული ეკონომიკური საქმიანობის კუთხით) და ერთჯერადად, საანგარიშო წლის განმავლობაში.

მუხლი 4. ტერმინთა განმარტებები

1. ამ წესის მიზნებისათვის დოკუმენტში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) საგანმანათლებლო დაწესებულების ეკონომიკური საქმიანობა - საგანმანათლებლო პროცესში ან საგანმანათლებლო დაწესებულების ზოგადი საქმიანობის პროფილის ფარგლებში შექმნილი პროდუქციის რეალიზაცია ან/და ანაზღაურებადი მომსახურების გაწევა;

ბ) ეკონომიკური საქმიანობის განაცხადი - საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ეკონომიკური საქმიანობის დაწყების მიზნით მომზადებული ფორმალური განაცხადი, რომელიც წარმოადგენს საგანმანათლებლო დაწესებულების ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების გზამკვლევესა და საფუძველს;

გ) ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების ფორმა - ფინანსურ ანგარიშთა პაკეტი რომელსაც საჯარო სამართლის იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმით დაფუძნებული საგანმანათლებლო დაწესებულების აწარმოებს „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის №108 ბრძანების შესაბამისად, ხოლო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმით დაფუძნებულის შემთხვევაში ბუღალტრული აღრიცხვისა და

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისათვის დადგენილი ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების გათვალისწინებით;

დ) ეკონომიკური საქმიანობის რეესტრი - საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოებული ჯამური/კრებსითი ინფორმაცია, რომელიც მოიცავს საგანმანათლებლო დაწესებულების ფარგლებში განხორციელებული ყველა ეკონომიკური საქმიანობის ძირითად ინდიკატორებსა და პარამეტრებს;

ე) სარეზერვო დანახარჯები - საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ უძრავი/მოდრავი ქონების ან/და შრომითი რესურსის უსასყიდლოდ გამოყენებისთვის დაანგარიშებული პირობითი დანახარჯის მოცულობა;

ვ) ძირითადი ინდიკატორი - წარმოადგენს ეკონომიკური და საგანმანათლებლო საქმიანობის მოცულობის უნივერსალურ საზომ ერთეულს (მაგ.: კაც/საათი, მანქანა/საათი, კვ/სთ და ა.შ.);

ზ) ნედლეული - პირველადი ნედლეული და მასალა რომელზეც სამუშაო ძალით ან/და მანქანა/დანადგარების ზემოქმედების შედეგად მიიღება დასრულებული პროდუქტი;

თ) დასრულებული პროდუქტი - ნედლეულის დამუშავების შედეგად მიღებული საქონელი რომელსაც გააჩნია სასაქონლო სახე და ექვემდებარება რეალიზაციას დასრულებული პროდუქტის სახით.

2. ამ წესში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვთ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მნიშვნელობა.

მუხლი 5. საგანმანათლებლო დაწესებულების ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული შეზღუდვები და უფლებამოსილება

1. საგანმანათლებლო დაწესებულების ეკონომიკური საქმიანობა შემოიფარგლება მხოლოდ საგანმანათლებლო პროგრამების საფუძველზე სასწავლო პროცესში ან საგანმანათლებლო დაწესებულების ზოგადი საქმიანობის პროფილის ფარგლებში შექმნილი შესაბამისი პროდუქციის რეალიზაციით ან/და ანაზღაურებადი მომსახურების გაწევით.

2. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ეკონომიკური საქმიანობისთვის შეძენილი მატერიალური მარაგების გამოყენება სასწავლო ან/და სხვა საქმიანობისათვის არ არის ნებადართული, ისევე როგორც ეკონომიკური საქმიანობისთვის არ უნდა იქნეს გამოყენებული

ის მატერიალური მარაგები, რომელიც განკუთვნილია მხოლოდ საგანმანათლებლო მიზნებისათვის და არ ხდება სწავლების პროცესში შექმნილი დასრულებული პროდუქტის სახით მათი რეალიზაცია ან/და ანაზღაურებადი მომსახურების გაწევა.

3. საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია განახორციელოს როგორც საგანმანათლებლო პროცესში შექმნილი პროდუქციის რეალიზაცია ან/და ანაზღაურებადი მომსახურების გაწევა, ისე საგანმანათლებლო პროცესისგან განცალკევებით, საგანმანათლებლო დაწესებულების ზოგადი საქმიანობის პროფილის ფარგლებში, ცალკე საწარმოო ან/და მომსახურების ხაზის ჩამოყალიბება, ორგანიზება და შექმნილი პროდუქციის/მომსახურების რეალიზაცია.

4. პროდუქციის შემთხვევაში საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში მოახდინონ მხოლოდ დასრულებული პროდუქტის რეალიზაცია. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ასევე შესაძლებელია განხორციელდეს ეკონომიკური საქმიანობისათვის განკუთვნილი ნედლეულის რეალიზაცია სათანადო დასაბუთებისა და რესურსების ეკონომიურად, პროდუქტიულად და ეფექტიანად გამოყენების პრინციპების გათვალისწინებით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5. საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია განახორციელოს ეკონომიკური საქმიანობა და მიიღოს შემოსავალი მხოლოდ ისეთი აქტივობებიდან, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო არ არის და უარყოფითად არ მოქმედებს სწავლების ხარისხზე.

6. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში დაცული უნდა იყოს ის თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის პრინციპები და მოთხოვნები, რომლებიც განსაზღვრულია „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით.

მუხლი 6. ეკონომიკური საქმიანობის პრინციპები და ბალანსი საგანმანათლებლო პროცესთან მიმართებაში

1. საგანმანათლებლო და ეკონომიკურ საქმიანობებს შორის საგანმანათლებლო დაწესებულებამ მნიშვნელოვანია მიაღწიოს ბალანსს, რაც გულისხმობს, რომ ადეკვატური ყურადღება უნდა მიაქციოს, როგორც საწარმოო, მარკეტინგულ, შემოსავლებისა თუ მოგების გამოყენების საკითხებს, ისე აღიაროს პრიორიტეტულობა პროფესიული სტუდენტების თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციების აღჭურვის კუთხით,

რომელიც მიიღწევა საგანმანათლებლო პროცესში და დაკავშირებული იქნება პროფესიული სტუდენტების პროფესიული და პიროვნული განვითარების ხელშეწყობასთან და დასაქმების პოტენციალის შექმნასთან.

2. სასწავლო პროცესში შექმნილი პროდუქციის ან/და გაწეული მომსახურების რეალიზაციიდან და დამხმარე ხასიათის ეკონომიკური საქმიანობიდან მოზიდული სახსრები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უნდა მოხმარდეს მხოლოდ საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნების მიღწევას და მისი ფუნქციების შესრულებას.

3. საგანმანათლებლო დაწესებულებამ არ უნდა დაუშვას, რომ ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები უარყოფითად აისახოს საგანმანათლებლო საქმიანობისათვის გადაცემულ უძრავ-მოდრავ ქონებაზე და სახელმწიფოსგან მიღებულ დაფინანსებაზე, სამართლებრივი, ფინანსური, მატერიალური, ფიზიკური ან/და სხვა ნებისმიერი ფორმით.

მუხლი 7. ეკონომიკური საქმიანობის ინტეგრირება საგანმანათლებლო პროგრამასთან და ინდივიდუალურ სასწავლო გეგმასთან

1. საგანმანათლებლო პროცესში შექმნილი პროდუქციის რეალიზაციისათვის ან/და ანაზღაურებადი მომსახურების გასაწევად საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა გაანალიზოს ეკონომიკური საქმიანობის ინტეგრაციის აუცილებლობა საგანმანათლებლო პროგრამაში და ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში.

2. საჭიროების შემთხვევაში საგანმანათლებლო დაწესებულებმა უნდა უზრუნველყოს სათანადო ცვლილებების შეტანა და ინტეგრაცია (მოქნილობის მაღალი დონით) საგანმანათლებლო პროგრამაში და ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში.

მუხლი 8. ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა

1. საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა დანერგოს ისეთი საბუღალტრო და მმართველობითი სისტემები რომლითაც უზრუნველყოფენ სრული, ზუსტი, დროული და საიმედო ინფორმაციის აღრიცხვასა და ანგარიშგებას. აღნიშნულის მიზანია საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელობისთვის სანდო და დროული ინფორმაციის მიწოდება, როგორც ცალკეული კომერციული აქტივობების შესრულებისა და შედეგიანობის, ისე მთლიანად ეკონომიკური საქმიანობის შესახებ, რის საფუძველზეც

შესაძლებელი იქნება ფინანსური და საოპერაციო შედეგების დროული და ეფექტიანი ანალიზი, ასევე ხარვეზების/პრობლემების დროული იდენტიფიცირება, აღმოფხვრა და ეკონომიკური საქმიანობის მუდმივი სრულყოფა.

2. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ეკონომიკური და საგანმანათლებლო საქმიანობის სააღრიცხვო ნაწილი უნდა იყოს გამიჯნული.

3. ეკონომიკური საქმიანობის ყველა აქტივისა და ვალდებულების აღრიცხვა უნდა მოხდეს ცალკეულ ანგარიშებზე (მათ შორის სალაროს მოძრაობა, საბანკო ბრუნვა, მატერიალური მარაგები, სავაჭრო ვალდებულებები, სახელფასო ვალდებულებები და ა.შ.).

4. ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა უნდა მოხდეს ყოველთვიურად დადგენილი ფინანსური ანგარიშგების ფორმების მიხედვით.

5. საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს ნაშთების რეგულარული ინვენტარიზაცია და შედეგების ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში, მატერიალურად პასუხისმგებელ პირებზე უფლებამოსილებების, ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობების დაკისრება და სხვა სამართლებრივი ღონისძიებების გატარება.

6. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დასრულებული პროდუქტის რეალიზაციისათვის, საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია მოახდინოს აღნიშნული სარეალიზაციო პროდუქტის გადაცემა სასწავლო პროგრამის ანგარიშგების ერთეულიდან ეკონომიკური საქმიანობის ანგარიშგების ერთეულზე. სარეალიზაციო პროდუქტის გადაცემა გულისხმობს:

ა) სარეალიზაციო პროდუქტის რაოდენობრივ/თანხობრივი გადატანას სასწავლო პროგრამის ბუღალტრული აღრიცხვის მატერიალური ანგარიშიდან ეკონომიკური საქმიანობის ბუღალტრული აღრიცხვის მატერიალურ ანგარიშზე;

ბ) სარეალიზაციო პროდუქტის გადაცემას სასწავლო პროგრამის მატერიალური საწყობიდან ეკონომიკური საქმიანობის მატერიალურ საწყობზე;

გ) შიდა-სარეალიზაციო გატარებას, რომლის შედეგადაც ეკონომიკური საქმიანობის ერთეულს წარმოეშობა ვალდებულება სასწავლო პროგრამის ერთეულის წინაშე გადაცემული საქონლის თვითღირებულების ოდენობით;

დ) სხვა დაკავშირებულ ოპერაციებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ზემოაღნიშნული გადაცემის მოქმედების შესრულებას.

მუხლი 9. საგანმანათლებლო დაწესებულების პასუხისმგებლობა ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში, მონიტორინგი და ანგარიშვალდებულება

1. საგანმანათლებლო დაწესებულება ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებულია რესურსების კანონიერ, პროდუქტიულ გამოყენებაზე და პროცესების ეფექტურ მართვაზე.

2. იმ შემთხვევაში თუ საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელი მოახდენს უფლებამოსილებების დელეგირებას, შესაბამისი დოკუმენტით უნდა განსაზღვროს პასუხისმგებელი პირი/პირები, მათი ფუნქციები, უფლებამოსილებები, პასუხისმგებლობები და ანგარიშვალდებულებები.

3. ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს პერიოდული მონიტორინგი და ანალიზი განსაზღვრული კრიტერიუმებით დაგეგმილ მაჩვენებლებთან (მათ შორის საბიუჯეტო) და მიზნების მიღწევასთან მიმართებაში.

4. დაგეგმილი მაჩვენებლების (მათ შორის საბიუჯეტო) და ეკონომიკური საქმიანობის მიზნების შესაძლო შეუსრულებლობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს მიზეზების იდენტიფიცირება, ანალიზი და სათანადო ცვლილებების განხორციელება.

5. საგანმანათლებლო დაწესებულება ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში მიღწეულ და მიუღწეველ შედეგებზე/მიზნებზე და განსაზღვრულ მაჩვენებლებზე, როგორც ფინანსურზე, ისე არაფინანსურზე, წინამდებარე წესის მე-11 მუხლით გათვალისწინებულ ეკონომიკური საქმიანობის რეესტრზე დაყრდნობით, ანგარიშვალდებულია საგანმანათლებლო დაწესებულების საზედამხედველო ორგანოსთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან საგანმანათლებლო დაწესებულების ეკონომიკური საქმიანობის განმხილველ საბჭოსთან (იმ შემთხვევაში თუ არ არის საზედამხედველო ორგანო ჩამოყალიბებული), ასევე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან (შემდგომში - სამინისტრო) მის მიერ განსაზღვრული ფორმითა და პერიოდულობით.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად მომზადებული ანგარიშის საფუძველზე საზედამხედველო ორგანო (ასეთის არსებობის შემთხვევაში) იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას ეკონომიკური საქმიანობის კონკრეტული მიმართულებების/აქტივობების გაგრძელების, შეწყვეტის ან ცვლილებების შესახებ. საზედამხედველო ორგანოს არარსებობის შემთხვევაში აღნიშნულ ინფორმაციას განიხილავს საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ შექმნილი საგანმანათლებლო დაწესებულების ეკონომიკური

საქმიანობის განმხილველი საბჭო და იღებს დასაბუთებული სახით ზემოთ მოცემული გადაწყვეტილებებიდან ერთ-ერთს. მიღებული გადაწყვეტილება ასევე ეცნობება სამინისტროს.

7. საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ეკონომიკური საქმიანობის განმხილველი საბჭო კომპლექტდება საგანმანათლებლო დაწესებულების თანამშრომლებისგან, ასევე საჭიროების შემთხვევაში და სათანადო დასაბუთებით შესაძლებელია მოწვეული პირის ჩართვაც.

მუხლი 10. ეკონომიკური საქმიანობის განსახორციელებლად რესურსების გამოყენება, შენახვა და აღრიცხვა

1. ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში შესაძლოა გამოყენებულ იქნეს საგანმანათლებლო დაწესებულების საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონება, იმ დაშვებით, რომ უარყოფითად არ იმოქმედებს სწავლების ხარისხზე.

2. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების გამოყენების შემთხვევაში წარმოებული პროდუქციის ან/და მომსახურების ღირებულების განსაზღვრისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ცვეთის ხარჯები.

3. ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში შესაძლოა გამოყენებულ იქნეს პროფესიული განათლების მასწავლებლის და პროფესიული სტუდენტის შრომით რესურსი საგანმანათლებლო პროგრამისა და საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნების გათვალისწინებით, იმ დაშვებით, რომ უარყოფითად არ იმოქმედებს სწავლების ხარისხზე.

4. პროფესიული განათლების მასწავლებლის ან/და პროფესიული სტუდენტის მიერ გაწეული შრომა, რომელსაც საგანმანათლებლო დაწესებულება ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში მიიღებს უსასყიდლოდ, მმართველობითი აღრიცხვისა და სარეალიზაციო ღირებულების განსაზღვრის მიზნებისთვის დაანგარიშებული უნდა იყოს ეკონომიკური საქმიანობის შესაბამის სექტორში არსებული საშუალო სახელფასო განაკვეთის (საათობრივი/დღიური/თვიური) ოდენობით. პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში შესაძლებელია დაანგარიშება მოხდეს ეკონომიკური საქმიანობის შესაბამის სექტორში არსებული მინიმალური სახელფასო განაკვეთის (საათობრივი/დღიური/თვიური) ოდენობით.

5. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განცალკევებულად უნდა მოხდეს ეკონომიკური საქმიანობისთვის შესყიდული მატერიალური მარაგების შენახვა, დასაწყობება და აღრიცხვა. იმ შემთხვევაში თუ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ვერ ხერხდება მატერიალური მარაგების განცალკევებით დასაწყობება შესაძლებელი უნდა იყოს მათი იდენტიფიცირება ეკონომიკური საქმიანობისათვის განკუთვნილი მარაგების აღრიცხვის მიზნით.

6. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განხორციელებული ყველა ქმედება უნდა იყოს დოკუმენტირებული და შენახული საქართველოს კანონმდებლობისა და საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებული საქმისწარმოებისა და არქივაციის წესის შესაბამისად.

მუხლი 11. ეკონომიკური საქმიანობის განაცხადი და რეესტრი

1. პროდუქციის რეალიზაციისათვის ან/და მომსახურების განსახორციელებლად საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა შეისწავლოს საკუთარი პოტენციალი ეკონომიკური საქმიანობის გასავითარებლად და უნდა მოახდინოს მისი დეტალური ანალიზი, რათა თანმიმდევრულად და ოპტიმალურად შეარჩიოს და განახორციელოს იმ პროდუქციის ან/და მომსახურების კომერციალიზაცია რომლის ეკონომიკური და საგანმანათლებლო სარგებელიც არის მიზანშეწონილი, მომგებიანი, ითვალისწინებს თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის პირობებს და მოიცავს ყველაზე ნაკლებ რისკებს.

2. ეკონომიკური საქმიანობის დასაწყებად, ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა მოამზადოს ეკონომიკური საქმიანობის განაცხადი, რომელიც წარმოადგენს საგანმანათლებლო დაწესებულების ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების გზამკვლევსა და საფუძველს.

3. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მომზადებული ეკონომიკური განაცხადი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ უნდა წარედგინოს საზედამხედველო ორგანოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც განიხილავს ეკონომიკური საქმიანობის დასაბუთებას განაცხადის საფუძველზე და ახდენს მის შეთანხმებას. პროდუქციის წარმოებასთან ან/და მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილება ან/და ეკონომიკური საქმიანობის შეწყვეტა (სრულად ან ნაწილობრივ) საჭიროებს საზედამხედველო ორგანოსათვის ინფორმაციის წარდგენას სათანადო

დასაბუთებით (ცვლილების შემთხვევაში წარედგინება ეკონომიკური განაცხადის ფორმით), ხოლო მათ მიერ განხილვასა და შეთანხმებას.

4. საგანმანათლებლო დაწესებულების საზედამხედველო ორგანო (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განიხილავს საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ეკონომიკური განაცხადის ფორმით წარდგენილ ინფორმაციას ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში პროდუქციის რეალიზაციასთან ან/და მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით და იღებს შემდეგ გადაწყვეტილებებს:

- ა) დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში უცხადებს თანხმობას;
- ბ) უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში უცხადებს დასაბუთებულ უარს;
- გ) ხარვეზის დადგენის შემთხვევაში შესაბამისი დასაბუთებებით უბრუნებს უკან შენიშვნების გათვალისწინების მიზნით.

5. საზედამხედველო ორგანოს არარსებობის შემთხვევაში გადაწყვეტილებას ეკონომიკური საქმიანობის დაწყების, ცვლილების ან შეწყვეტის შესახებ იღებს საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ შექმნილი ეკონომიკური საქმიანობის განმხილველი საბჭო, საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ წარდგენილი განაცხადის საფუძველზე.

6. საგანმანათლებლო დაწესებულებამ ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში ინდივიდუალურად უნდა მოამზადოს ეკონომიკური საქმიანობის განაცხადი მიმართულებების მიხედვით, თითოეული კატეგორიის პროდუქციის რეალიზაციისათვის ან/და მომსახურების გაწევისათვის.

7. ეკონომიკური საქმიანობის განაცხადი საჭიროების მიხედვით შეიძლება მოიცავდეს შემდეგ საკითხებსა და ინფორმაციას:

- ა) ეკონომიკური საქმიანობის დეტალურ ანალიზსა და გამოყენებულ მეთოდოლოგიებს;
- ბ) პროდუქციის წარმოებისთვის ან/და მომსახურების გაწევისთვის საჭირო სტანდარტებს, საკანონმდებლო მოთხოვნებსა და მასთან შესაბამისობას;
- გ) უპირატესობების შესწავლას;
- დ) ეკონომიკური და საგანმანათლებლო სარგებლის განსაზღვრას;
- ე) ეკონომიკური საქმიანობის გავლენის ანალიზს საგანმანათლებლო საქმიანობაზე;
- ვ) ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების თანხვედრას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო მიზნებთან და გეგმებთან;

ზ) საგანმანათლებლო და ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ პროცესებს შორის დატვირთულობას;

თ) ეკონომიკური აქტივობის შედეგად პრაქტიკული სწავლების ჩანაცვლების შესაძლებლობას;

ი) ეკონომიკური საქმიანობისთვის პოტენციური პროდუქციის ან/და მომსახურების აღწერილობას;

კ) რესურსებისა და შესაძლებლობების ანალიზს;

ლ) აუცილებელი რესურსების იდენტიფიცირებას, წარმოების პროცესში ჩართული სამუშაო ძალის პროგნოზსა და სასწავლო პროცესთან შეფარდებას;

მ) ხარჯ-ეფექტიანობის ან/და ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზს;

ნ) ეკონომიკური საქმიანობის ძირითადი ინდიკატორების განსაზღვრას;

ო) სარეზერვო დანახარჯების განსაზღვრასა და დათვლის მეთოდოლოგიას;

პ) საპროგნოზო თვითღირებულების დეტალურ დაანგარიშებას კომპონენტებისა და დანახარჯების მიხედვით;

ჟ) თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის პირობების გათვალისწინებით მომგებიანი სარეალიზაციო ფასის განსაზღვრას;

რ) წლიური წარმადობის მაჩვენებელს;

ს) საპროგნოზო გაყიდვების მაჩვენებლებს;

ტ) საპროგნოზო მომგებიანობის მაჩვენებლებსა და ა.შ.

8. ეკონომიკურ საქმიანობაზე გამოყოფადი და გამოყენებული რესურსების დათვლის მიზნით ეკონომიკური განაცხადში ასევე ხდება ეკონომიკური საქმიანობის მიკუთვნება საგანმანათლებლო დაწესებულების ფარგლებში განხორციელებულ საგანმანათლებლო პროგრამასთან, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც ეკონომიკური საქმიანობა ითვალისწინებს ზოგადი პროფილის/ფუნქციონალური დატვირთვის აქტივების იჯარას.

9. ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში ხარჯ-ეფექტიანობის ანალიზისა და მიზნის მისაღწევი პროცესების განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია, რომ ცალკეული კატეგორიის პროდუქციის საწარმოებლად ან/და მომსახურების გასაწევად საჭირო რესურსებისა და სრული დანახარჯების ალტერნატიული გზების შედარება და განსაზღვრა განხორციელდეს ერთი და იგივე მიდგომით/მეთოდით.

10. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სასწავლო და ეკონომიკური საქმიანობასთან დაკავშირებულ პროცესებს შორის დატვირთულობის დაანგარიშება უნდა მოხდეს ძირითადი ინდიკატორის მიხედვით.

11. იმ შემთხვევაში, თუ საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს პროდუქციის წარმოებისთვის ან/და მომსახურების გაწევისთვის შესაბამისი სტანდარტის ან/და საკანონმდებლო მოთხოვნის დაკმაყოფილება, მაშინ ეკონომიკური საქმიანობის დაწყებამდე უნდა განახორციელოს მასთან შესაბამისობაში მოყვანა.

12. ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების მიზნით საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია შეიძინოს მხოლოდ ის საქონელი ან/და მომსახურება რომელიც გათვალისწინებულია ეკონომიკური საქმიანობის განაცხადის მიხედვით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. საგანმანათლებლო დაწესებულებამ ეკონომიკური საქმიანობის განსახორციელებლად უნდა შექმნას და ყოველთვის აწარმოოს ეკონომიკური საქმიანობის რეესტრი, რომლის საფუძველზეც მოხდება თითოეული ეკონომიკური საქმიანობის (პროდუქციის წარმოების ან/და მომსახურების გაწევის) ძირითადი პარამეტრებისა და ინდიკატორების ანგარიშგება საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელობასთან, რომელიც თავის მხრივ აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ანგარიშვალდებულია საზედამხედველო ორგანოსთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან ეკონომიკური საქმიანობის განმხილველ საბჭოსთან (იმ შემთხვევაში თუ არ არის საზედამხედველო ორგანო ჩამოყალიბებული) და სამინისტროსთან, წინამდებარე წესების მე-8 და მე-9 მუხლების შესაბამისად.

14. ანგარიშგება ხორციელდება მინიმუმ წელიწადში ერთხელ, საანგარიშო წლის დასრულებიდან მომდევნო წლის მარტის ბოლომდე ან საზედამხედველო ორგანოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), საგანმანათლებლო დაწესებულების ეკონომიკური საქმიანობის განმხილველ საბჭოს (იმ შემთხვევაში თუ არ არის საზედამხედველო ორგანო ჩამოყალიბებული) ან სამინისტროს მიერ განსაზღვრული პერიოდულობის შესაბამისად.

15. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ეკონომიკური საქმიანობის განაცხადი (მათ შორის ცვლილებებთან დაკავშირებული), რომელიც დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში შეთანხმებული იქნება საზედამხედველო ორგანოსთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან საგანმანათლებლო დაწესებულების ეკონომიკური საქმიანობის განმხილველ

საბჭოსთან (იმ შემთხვევაში თუ არ არის საზედამხედველო ორგანო ჩამოყალიბებული), ინფორმაციის სახით ეგზავნება სამინისტროს.

16. ეკონომიკური საქმიანობის განაცხადისა და რეესტრის ფორმები განისაზღვრება საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ.

მუხლი 12. ეკონომიკური საქმიანობის დაფინანსების მექანიზმები

1. საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია საგანმანათლებლო პროცესში სარეალიზაციო პროდუქციის შექმნისთვის ან/და ანაზღაურებადი მომსახურების გასაწევად გამოიყენოს საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ვაუჩერული დაფინანსებით მიღებული სახსრები, ამ წესის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული რეგულაციის გათვალისწინებით.

2. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროცესისგან განცალკევებით, ცალკე საწარმოო ან/და მომსახურების ხაზის დაფინანსება, ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების მიზნებისათვის შესაძლებელია მოხდეს საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრული საფინანსო სახსრების სხვადასხვა წყაროებიდან.

მუხლი 13. პროდუქციისა და მომსახურების ღირებულების განსაზღვრა

1. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ეკონომიკური საქმიანობასთან დაკავშირებული აქტივობების სრული დანახარჯები უნდა იქნეს გათვალისწინებული, აღრიცხული და ასახული წარმოებული პროდუქციის ან/და მომსახურების ღირებულებაში, ეს იქნება როგორც პირდაპირი (მასალები, ნედლეული, შრომით რესურსი და ა.შ.) ისე არაპირდაპირი ხარჯები (საოფისე კომუნალური დანახარჯები, ადმინისტრაციული და საოფისე დანახარჯები, მარკეტინგული დანახარჯები და ა.შ.).

2. მნიშვნელოვანია, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებამ გამოიყენოს სხვადასხვა მენეჯერული, დიაგნოსტიკური და ანალიტიკური მეთოდები პროდუქციის ან/და მომსახურების ღირებულების და სარეალიზაციო ფასის განსაზღვრისა და შესაფერისი კომერციული შეთავაზების მომზადების მიზნით, თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის პირობების უზრუნველსაყოფად.

3. დანახარჯების გამომწვევი აქტივობების, მათი მოცულობის იდენტიფიკაციის, საჭირო/არასაჭირო დანახარჯების გამოვლენის, ხარჯების გადანაწილების (ალოცირების) და

მომგებიანობის გაზრდის კუთხით მიზანშეწონილია, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებამ პროდუქციისა და მომსახურების ღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენოს „აქტივობაზე დაფუძნებული ხარჯთაღრიცხვის“ (Active Based Costing) მიდგომა.

4. საგანმანათლებლო დაწესებულებამ ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში უძრავი-მოდრავი ქონების ან/და შრომითი რესურსის უსასყიდლოდ გამოყენებისათვის უნდა დაიანგარიშოს სარეზერვო დანახარჯები.

5. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ამ მუხლის მე-3 პუნქტში განსაზღვრული მიდგომებისგან განსხვავებული მეთოდები (მაგალითად, „პროცესებზე დაფუძნებული ხარჯთაღრიცხვა“, „სამუშაოზე დაფუძნებული ხარჯთაღრიცხვა“, „კონტრაქტზე დაფუძნებული ხარჯთაღრიცხვა“ და სხვა), ცალკეულად ან სხვა მეთოდებთან ერთად ერთობლიობაში, სათანადო საფუძვლებისა და დასაბუთების შემთხვევაში, როგორც შეიძლება იყოს:

- ა) აქტივობების სიმარტივე და კომპლექსურობა;
- ბ) პროდუქციის ან/და მომსახურების მრავალფეროვნება;
- გ) პროდუქციის ან/და მომსახურების მოცულობები;
- დ) პროდუქციის ან/და მომსახურების სპეციფიკიდან, სირთულეებიდან ან სფეროს თავისებურებებიდან გამომდინარე პრაქტიკაში მეტად აპრობირებული, მორგებული და პოპულარული მეთოდები და სხვა.

6. ასევე ამ მუხლის მე-3 და მე-5 პუნქტებში განსაზღვრულ მიდგომებთან ერთად საგანმანათლებლო დაწესებულებამ მნიშვნელოვანია, რომ განახორციელოს სხვადასხვა შეფასებები, როგორც შეიძლება იყოს:

- ა) გასაყიდი საქონლის ან/და მომსახურების სარეალიზაციო ფასის ბაზრის კვლევა;
- ბ) მომგებიანობის ფინანსური ანალიზი;
- გ) გარე ფაქტორების ზემოქმედება (მაგალითად, სეზონურობა, მსყიდველუნარიანობა, კონკურენტების ზეგავლენა);
- დ) პროცესების ოპტიმიზაციის ანალიზი;
- ე) რესურსების განაწილების ანალიზი (სასწავლო და კომერციული მიზნებისათვის);
- ვ) შიდა და გარე გარემოდან მომდინარე რისკების შეფასება და ანალიზი (მაგალითად, ბიზნეს-უწყვეტობასთან დაკავშირებული რისკები, მომწოდებლებთან დაკავშირებული რისკები, ეკონომიკის სექტორული რისკები, ტექნოლოგიური რისკები, მარეგულირებელი

გარემოს ცვლილებით გამოწვეული რისკები, სავალუტო და ფინანსური რისკები, ბუნებრივი კატაკლიზმების რისკები და ა.შ.) და ა.შ.

7. საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია დამოუკიდებლად განსაზღვროს პროდუქციის ან/და მომსახურების სარეალიზაციო ფასი, ამ მუხლში მოცემული მიდგომებითა და მეთოდებით, რომელიც უნდა წარმოადგენდეს საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად განსაზღვრულ საბაზრო ფასს, თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვის მიზნით.

8. იმ შემთხვევაში თუ პროდუქციის ან/და მომსახურების სპეციფიკიდან, სირთულეებიდან, სფეროს თავისებურებებიდან, ადამიანური რესურსებიდან ან სხვა მიზეზებიდან გამომდინარე შეუძლებელია საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მენეჯერული, დიაგნოსტიკური და ანალიტიკური მეთოდების დამოუკიდებლად გამოყენება და საბაზრო ფასის დადგენა, სათანადო დასაბუთების შემთხვევაში, დასაშვებია მომსახურების შესყიდვა და გარე კონტრაქტორის დახმარებით აღნიშნულის განხორციელება პროდუქციის ან/და მომსახურების ღირებულებისა და სარეალიზაციო ფასის განსაზღვრის მიზნით.

მუხლი 14. შემოსავლების აკუმულირება

1. საგანმანათლებლო დაწესებულებამ ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში მიღებული შემოსავლების აკუმულირებისთვის და განკარგვისთვის უნდა შექმნას და გამოიყენოს ცალკე საბანკო ანგარიში.

2. აღნიშნული საბანკო ანგარიშის გამოყენება სხვა მიზნებისათვის აკრძალულია და მხოლოდ უნდა ემსახუროდეს საგანმანათლებლო პროცესში შექმნილი პროდუქციის რეალიზაციის ან/და ანაზღაურებადი მომსახურების გაწევით მიღებული საკომპენსაციო თანხის აკუმულირებას და მის შემდგომ გამოყენებას საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებისათვის.

მუხლი 15. შემოსავლებისა და ხარჯების ასახვა საგანმანათლებლო დაწესებულების ბიუჯეტში და მართვის პრინციპები

1. საგანმანათლებლო დაწესებულებამ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი და გასაწევი ხარჯები სრულად უნდა გაითვალისწინოს მის ბიუჯეტში, ერთმანეთის მიმართ ყოველგვარი კორექტირებების გარეშე.

2. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მიღებული შემოსავალი შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯებისათვის, რომელიც თავის მხრივ დაკავშირებული უნდა იყოს და ხელს უწყობდეს საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული და საოპერაციო მიზნების შესრულებას. დაუშვებელია ნებისმიერი ხარჯის გაწევა, რომელიც არ არის ბიუჯეტში გათვალისწინებული და არ ემსახურება საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნების მიღწევას. ამასთან, დაგეგმილი შემოსავალი და ხარჯი უნდა იყოს ერთმანეთთან თანხვედრაში/ბალანსში.

3. ბიუჯეტის დაგეგმვის დროს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებისა და ხარჯების გათვალისწინება და ჩამოყალიბება უნდა მოხდეს შესრულების/ეფექტიანობის საფუძველზე (Performance Based), რომელიც დაკავშირებული იქნება სტრატეგიულ და საოპერაციო მიზნებთან. აღნიშნული მნიშვნელოვანია იმის დასადასტურებლად, რომ:

- ა) შემოსავლები და ხარჯები სწორად იყოს ბიუჯეტში გადანაწილებული, რომელიც დაკავშირებული იქნება საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებთან;
- ბ) ბიუჯეტში გათვალისწინებული ასიგნებები იქნება ხელმისაწვდომი;
- გ) ხარჯები იქნება განსაზღვრული და შესაბამისობაში მოქმედ რეგულაციებთან, შეთანხმებებთან და ვალდებულებებთან;
- დ) ფინანსური მართვის პრინციპები იქნება დაცული.

4. საგანმანათლებლო დაწესებულებამ ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში მიღებული შემოსავლების მართვა უნდა განახორციელოს ფინანსური მართვის და კონტროლის პრინციპების შესაბამისად, რაც გულისხმობს კანონიერებას, ეკონომიურობას, ეფექტიანობასა და პროდუქტიულობას.

5. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ნებისმიერი ცვლილება, რომელიც დაკავშირებული იქნება შემოსავლებთან და ხარჯებთან, უნდა ასახოს საგანმანათლებლო დაწესებულების ბიუჯეტში.

მუხლი 16. ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლისა და სარგებლის მართვა

1. საგანმანათლებლო დაწესებულებამ იმისათვის, რომ უზრუნველყოს ბიუჯეტის შემუშავების დროს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების გათვალისწინება და ჩამოყალიბება შესრულების/ეფექტიანობის საფუძველზე (Performance Based), მნიშვნელოვანია შეიმუშაოს საგანმანათლებლო პროცესთან და ეკონომიკურ საქმიანობასთან

დაკავშირებული სტრატეგიული და სამოქმედო (საოპერაციო) გეგმები და ეფექტიანობის/შედეგების შეფასების ძირითადი მაჩვენებლები.

2. ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში მიღებული შემოსავლებისა და სარგებლის მართვა და გამოყენება უნდა იყოს დაკავშირებული საგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციონირებასთან, ეკონომიკურ და საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარების მიზნებთან.

3. იმ შემთხვევაში თუ საგანმანათლებლო დაწესებულება შემოსავალს მიიღებს საგანმანათლებლო პროცესში შექმნილი პროდუქციის რეალიზაციიდან ან/და გაწეული ანაზღაურებადი მომსახურებიდან, მიღებული შემოსავლით (წმინდა ეკონომიკური სარგებლის გარდა) და მისი ოდენობის პროპორციულად, შემდგომ საგანმანათლებლო პროცესში უნდა დაიფაროს ყველა ის ხარჯი რაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების ფარგლებში იქნა გაწეული, თუ საგანმანათლებლო დაწესებულება კვლავ გააგრძელებს საგანმანათლებლო პროცესში შექმნილი პროდუქციის რეალიზაციას ან/და ანაზღაურებადი მომსახურების გაწევას და აღნიშნული არ იქნება განხორციელებული ერთჯერადი სახით საანგარიშო წლის განმავლობაში.

4. იმ შემთხვევაში თუ საგანმანათლებლო დაწესებულება აღარ გააგრძელებს საგანმანათლებლო პროცესში შექმნილი პროდუქციის რეალიზაციას ან/და ანაზღაურებადი მომსახურების გაწევას, ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი (წმინდა ეკონომიკური სარგებლის გარდა) გამოყენებულ უნდა იქნეს საგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციონირების, ეკონომიკური და საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარების მიზნებისათვის შესრულების/ეფექტიანობის საფუძველზე ან დაიფაროს ნებისმიერ საგანმანათლებლო პროცესში პროდუქციის შექმნისთვის ან/და მომსახურების გაწევისათვის გაღებული ხარჯები, რომელიც უნდა იქნეს დასაბუთებული და სამინისტროსთან შეთანხმებული წერილობითი სახით.

5. იმ შემთხვევაში თუ საგანმანათლებლო დაწესებულება შემოსავალს მიიღებს არა საგანმანათლებლო პროცესში შექმნილი პროდუქციის რეალიზაციიდან ან/და გაწეული ანაზღაურებადი მომსახურებიდან, არამედ ცალკე, საგანმანათლებლო პროცესისგან განცალკევებით განხორციელებული ეკონომიკური საქმიანობიდან, მიღებული შემოსავალი (წმინდა ეკონომიკური სარგებლის გარდა) გამოყენებულ უნდა იქნეს პროდუქციის

შექმნისთვის ან/და მომსახურების გაწევისათვის გაღებული ხარჯების დასაფარად და ეკონომიკური საქმიანობის გაგრძელების უზრუნველსაყოფად.

6. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ეკონომიკური სარგებელი შესაძლოა გამოყენებულ იქნეს მხოლოდ საგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციონირების, ეკონომიკური და საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარების მიზნებისათვის.

7. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ეკონომიკური სარგებელი შესაძლოა გადანაწილდეს განსხვავებულ მიზნებზე, სხვადასხვა პროცენტულობით, მაგალითად ეს შეიძლება იყოს:

ა) საგანმანათლებლო დაწესებულებისა და საგანმანათლებლო პროცესების განვითარებისთვის მიზნით - მინიმუმ 50% (მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება-განახლებას, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტების უცხოეთში სტაჟირებაზე გაშვებას, პრეზენტაციებისა და გამოფენების მოწყობას, საზოგადოებასთან დაკავშირებულ და მარკეტინგულ აქტივობებს და ა. შ.);

ბ) სახელმწიფო საბიუჯეტო დაფინანსების შემცირების მიზნით - მაქსიმუმ 30%;

გ) სასწავლო დაწესებულების მმართველობითი რგოლების წახალისების მიზნით - მაქსიმუმ 5% და ა.შ.

8. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული რეგულაციიდან გამონაკლისის დაშვება და პროდუქციის რეალიზაციიდან ან/და გაწეული ანაზღაურებადი მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის მიმართვა საგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციონირების, ეკონომიკური და საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარების მიზნებისათვის, ასევე ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული წმინდა ეკონომიკური სარგებლის განსხვავებული პროცენტულობით გადანაწილება და გამოყენება შესაძლებელია სათანადო დასაბუთებისა და სამინისტროსთან შეთანხმების საფუძველზე, წერილობითი ფორმით.

მუხლი 17. ფონდის შექმნა და მართვა

1. გარდა ამ წესის მე-16 მუხლით განსაზღვრული მიდგომებისა, საგანმანათლებლო დაწესებულებას უფლება აქვს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი ან/და სარგებელი სრულად ან ნაწილობრივ (წინასწარ დადგენილი პროცენტულობით), მიმართოს მის მიერ ჩამოყალიბებულ ფონდში ან ფონდებში (სარეზერვო, სასწავლო და ა.შ.), რომელიც

უნდა გამომდინარეობდეს საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული მიზნებიდან და ხელს უნდა უწყობდეს მის შესრულებას.

2. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესაძლებელია ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის ან/და სარგებლის მიმართვა სტრატეგიული მიზნების მისაღწევად განსაზღვრულ ფონდში სათანადო დასაბუთებისა და სამინისტროსთან შეთანხმების საფუძველზე, წერილობითი ფორმით.

3. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ფონდში აკუმულირებული თანხები სრულად უნდა იქნეს გათვალისწინებული საგანმანათლებლო დაწესებულების ბიუჯეტში.

4. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ფონდიდან თანხების ათვისება უნდა მოხდეს გამჭვირვალედ, ბიუჯეტით გათვალისწინებული სახით და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და მის შესაბამისად.

5. ფონდში აკუმულირებული თანხების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს საგანმანათლებლო დაწესებულების მთლიანი ბიუჯეტის 5%-ს, ხოლო საერთო მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს საგანმანათლებლო დაწესებულების მთლიანი ბიუჯეტის 20%-ს, დაგეგმილი ფისკალური წლის ფარგლებში. განსხვავებული პროცენტულობით თანხების აკუმულირება შესაძლებელია სათანადო დასაბუთებისა და სამინისტროსთან შეთანხმების საფუძველზე, წერილობითი ფორმით.

მუხლი 18. გამჭვირვალობა და ინტერესთა კონფლიქტი

1. საგანმანათლებლო დაწესებულებამ ბიუჯეტის მომზადება, მასში ცვლილებების შეტანა და დამტკიცება უნდა განახორციელოს გამჭვირვალედ.

2. ბიუჯეტის, მისი შესრულების, ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების (წლიური) დოკუმენტები უნდა გამოქვეყნდეს საგანმანათლებლო დაწესებულების ვებ გვერდზე, მისი მომზადებიდან/დამტკიცებიდან ერთი თვის განმავლობაში.

3. საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს, რომ ეკონომიკური საქმიანობის წარმართვა, შემოსავლების მიღება და ხარჯვა განახორციელოს, როგორც ფინანსური მართვისა და კონტროლის პრინციპების თანახმად, ისე „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი

მოთხოვნებისა და სხვა მოქმედი კანონმდებლობის, სტანდარტებისა თუ რეგულაციების შესაბამისად.

4. საგანმანათლებლო დაწესებულების ნებისმიერმა თანამშრომელმა, რომელიც ჩართული იქნება ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებასა და მართვაში, არ უნდა განახორციელოს ისეთი აქტივობები, რომელიც მათ პირად ინტერესებს კონფლიქტურ მდგომარეობაში მოაქცევს საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობასთან და მის მიზნებთან.

5. იმ შემთხვევაში თუ კონფლიქტის რისკი არსებობს საგანმანათლებლო დაწესებულების თანამშრომელთან მიმართებაში (ხელმძღვანელი პირის გარდა), ასეთი პირის მიერ უნდა მოხდეს თავის შეკავება შესაბამისი აქტივობებისაგან და საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელმა უნდა განახორციელოს სათანადო ქმედება კონფლიქტის რისკების შესამცირებლად ან ასარიდებლად.

6. თუ კონფლიქტის რისკი არსებობს საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელთან მიმართებაში, მაშინ ასეთი პირის მიერ უნდა მოხდეს თავის შეკავება შესაბამისი აქტივობებისაგან და უნდა აცნობოს საგანმანათლებლო დაწესებულების საზედამხებდველო ორგანოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან ეკონომიკური საქმიანობის განმხილველი საბჭოს (იმ შემთხვევაში თუ საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ არის ჩამოყალიბებული საზედამხებდველო ორგანო), რომელმაც უნდა განახორციელოს სათანადო ქმედება კონფლიქტის რისკების შესამცირებლად ან ასარიდებლად.

7. საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელმა უნდა შეიმუშაოს და ჩამოაყალიბოს წესები, რომლითაც მოხდება ინტერესთა კონფლიქტების მართვა და პრევენცია.

განმარტებითი ბარათი

„სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროცესში შექმნილი პროდუქციის/გაწეული ანაზღაურებადი მომსახურების ღირებულების განსაზღვრის, აღნიშნული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის განკარგვის წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტზე

ინფორმაცია სამართლებრივი აქტის პროექტის შესახებ

„პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის თანახმად სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია განახორციელოს ეკონომიკური საქმიანობა, მათ შორის, სასწავლო პროცესში შექმნილი პროდუქციის რეალიზაცია/ანაზღაურებადი მომსახურების გაწევა, აგრეთვე მოიზიდოს საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული ფინანსური სახსრები, მათ შორის, მიიღოს შემოსავალი ისეთი ეკონომიკური საქმიანობიდან, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო არ არის და სწავლების ხარისხზე უარყოფითად არ მოქმედებს.

პროფესიული განათლების სპეციფიკიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო დაწესებულებებში (შემდგომში - საგანმანათლებლო დაწესებულება) ყოველწლიურად იქმნება გარკვეული რაოდენობის პროდუქცია, რომლის რეალიზების სრულად ჩამოყალიბებული მექანიზმები სისტემაში ამ დრომდე არ არსებობს. ამავე დროს, მიუხედავად იმისა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებებს შესაძლებლობა აქვთ არსებული ან/და საკუთარი შემოსავლების გამოყენებით შექმნილი რესურსებით აწარმოონ პროდუქცია, მოახდინონ მათი რეალიზაცია ან/და განახორციელონ მომსახურება, პრაქტიკულად ეს პოტენციალი მათ მიერ გამოუყენებელია.

შესაბამისად საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება გულისხმობს სასწავლო პროცესში შექმნილი ან სხვა კომერციული საქმიანობის ფარგლებში წარმოებული პროდუქციის/მომსახურების რეალიზაციას, რომლის შედეგად მიღებული შემოსავალი განაპირობებს საგანმანათლებლო დაწესებულების

ფინანსურს მდგრადობას, სასწავლო პროცესის განვითარებას, სასწავლო პროცესის დასაფინანსებლად დამატებითი სახსრების მოპოვებასა და შექმნილი პროდუქციის/გაწეული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას, რაც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნების შესრულებას სხვადასხვა მიმართულებით.

რეალიზაციის საკითხი სახელმწიფოს მიერ/მონაწილეობით დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულების არაერთი წლის განმავლობაში მწვავედ დგას. პირველ რიგში მკაფიო საკანონმდებლო ბაზისა და სათანადო ინსტრუქციების არარსებობის გამო, ვერ ხერხდება სასწავლო პროცესში შექმნილი პროდუქციის/მომსახურების რეალიზაცია და მიღებული შემოსავლების საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებისათვის გამოყენება.

აღნიშნულიდან გამომდინარე წინამდებარე დოკუმენტით განისაზღვრება ის ჩარჩო მიდგომები და რეგულაციები, რომელიც საშუალებას მისცემს საგანმანათლებლო დაწესებულებებს უზრუნველყონ ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება.

ინფორმაცია ევროკავშირის სამართლებრივი აქტის შესახებ

წარმოდგენილი დადგენილები პროექტი არ არის გამოწვეული ევროკავშირის სამართლებრივი აქტით, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან.

დადგენილების პროექტის ზეგავლენის შეფასება ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე

დადგენილების ამოქმედება გავლენას არ მოახდენს ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

დადგენილების პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება

დადგენილების პროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

დადგენილების პროექტის მიღებით შესაძლებელი გახდება დამატებითი შემოსავლების ხარჯზე საგანმანათლებლო დაწესებულებებმა შეამცირონ სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილები.

დადგენილების პროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

დადგენილების პროექტის მოსალოდნელი შედეგები

საგანმანათლებლო დაწესებულების დამატებით შემოსავლის მომტან აქტივობებს აქვს მნიშვნელოვანი დადებითი მხარეები, ესენია:

- დამატებითი შემოსავლების ხარჯზე საგანმანათლებლო დაწესებულებები შეიმცირებენ დაფინანსების საჭიროებას;
- საგანმანათლებლო დაწესებულებებს უჩნდებათ დამატებითი რესურსი ინსტიტუციური განვითარებისათვის;
- ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართული სამუშაო ძალა (პროფესიული სტუდენტების სახით) სამუშაო ბაზარზე ირიბად შესვლას ახორციელებს კურსის / პროგრამის სრულ დამთავრებამდე;
- ეკონომიკური საქმიანობა ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულებაში კერძო სამეწარმეო კულტურის განვითარებას;
- ეკონომიკური საქმიანობა არის სასწავლო პროცესის შემავსებელი ნაწილი და დამატებით უზრუნველყოფს მასში ჩართულ კურსდამთავრებულთა მომზადებისა ზრდას.
- სასწავლო პროდუქციის/მომსახურების რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავალი განაპირობებს საგანმანათლებლო დაწესებულების ფინანსურ მდგრადობას და ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნების განხორციელებას სხვადასხვა მიმართულებით: მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება-განახლებას, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტების უცხოეთში სტაჟირებაზე გაშვებას, პრეზენტაციებისა და გამოფენების მოწყობას, PR აქტივობებს და ა. შ.

სასწავლო პროცესში წარმოებული პროდუქციის/მომსახურების რეალიზაცია საგანმანათლებლო დაწესებულებებს საშუალებას მისცემს, ერთის მხრივ, ჯანსაღი

კონკურენცია გაუწიონ ერთმანეთს, მეორეს მხრივ გაამყარონ თანამშრომლობითი ურთიერთობები.

ასევე წარმოებული პროდუქციისა და მომსახურების რეალიზაციის პროცესში პროფესიული სტუდენტები განვითარებენ სამეწარმეო და შრომით უნარ-ჩვევებს, რაც კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და თვითდასაქმების მაჩვენებელს რეალურად გაზრდის.

საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პროფესიული სტუდენტების მონაწილეობა მცირე მეწარმეობის განვითარებაში, გაზრდის ნდობას შრომის ბაზარზე პროფესიული სტუდენტების მიმართ, რაც ხელს შეუწყობს პროფესიული სტუდენტების კონკურენტუნარიანობის და მოტივაციის ამაღლებას. ამასთან საგანმანათლებლო დაწესებულებისა და პროფესიული სტუდენტების ურთიერთობის გამყარებას პარტნიორ-ორგანიზაციებთან და დამსაქმებლებთან, მათ შორის კლიენტებთან. ასევე, მსგავს აქტივობებში ჩართვა ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების ცნობადობას, იმიჯის ამაღლებასა და კონტიგენტის მოზიდვას.

დღესდღეობით არაერთ საგანმანათლებლო დაწესებულებაშია შექმნილი შესაბამისი ბაზა (სასწავლო საწარმოები, სასტუმროები და ა.შ), რომელთა გამოყენებაც ხდება პროფესიულ სტუდენტთა პროფესიული კომპეტენციების, მაგრამ არა სამეწარმეო უნარების განვითარებისათვის. სამინისტროსთვის პროფესიულ სტუდენტთა სამეწარმეო კომპეტენციების განვითარება პრიორიტეტულია. მეწარმეობის მოდული სავალდებულო კომპონენტია ყველა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის. ამასთან, 2015 წელს მომზადებული კონცეფცია (პროფესიული განათლების სისტემის მიერ მეწარმეობისა და თვითდასაქმების მხარდაჭერის კონცეფცია) ხაზს უსვამს, რომ პროფესიულ სტუდენტთა სამეწარმეო იდეები მხარდაჭერილი უნდა იყოს, როგორც სწავლის პერიოდში, ასევე სწავლის დასრულების შემდეგ. ეს ხედვა ასახულია პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიაში და იგი სრულად პასუხობს ევროკავშირის რეკომენდაციებს. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში უნდა განვითარდეს მეწარმეობის პრაქტიკული სწავლება და ამ მიმართულებით სხვა საშუალებებთან ერთად გამოყენებული უნდა იყოს რეალურ გამოცდილებაზე დაფუძნებული მეთოდებიც, რისი პოტენციალიც პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებობს.

დადგენილების პროექტის განხორციელების ვადები

დადგენილების პროექტი ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე, რაც საშუალებას მისცემს საგანმანათლებლო დაწესებულებებს ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზება და განხორციელება დაიწყონ განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

დადგენილების პროექტის ავტორი და წარმდგენი

დადგენილების პროექტის ავტორი და წარმდგენია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.